უთხარი მათ, რომ მე მიყვარს ისინი

გამოცხადების მიღება თქვენდამი ღმერთის სიყვარულის შესახებ

ჯოის მაიერი

უთხარი მათ, რომ მე მიყვარს ისინი

გამოცხადების მიღება თქვენდამი ღმერთის სიყვარულის შესახებ

ჯოის
მაიერი

სარჩევი

შესავალი	5
შენ ღმერთს უყვარხარ!	8
ვარ თუ არა საკმარისად კარგი?	15
სიყვარული – ეს არის ურთიერთობა	23
სიყვარული, ნდობა და რწმენა	30
შიშისაგან თავისუფლება	37
სიყვარული გასცემს	43
ღმერთის სიყვარული შეგცვლით	48

შესავალი

მიმაჩნია, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად მათდამი, როგორც ინდივიდებისადმი,ღმერთის სიყვარულის პირადი გამოცხადება ესაჭიროებათ. მჯერა, რომ ეს გამოცხადება საფუძველი უნდა გახდეს იმისა, რაზეც ქრისტიანის გამარჯვებული ცხოვრება იქნება დაფუძნებული. ჩვენ არ გვჭირდება მხოლოდ ცოდნა ღმერთის სიყვარულის შესახებ, არამედ ამ სიყვარულის გამოცხადებას ვსაჭიროებთ ჩვენს გულებში. ამის მოცემა მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია და იგი ამას მაშინ გააკეთებს, თუ ღმერთის სიყვარულზე ვიფიქრებთ, ჩავუკვირდებით მას ჩვენს ცხოვრებაში და დავუწყებთ ძებნას ღმერთის დაწერილი სიტყვისა და ლოცვის მეშვეობით.

მიღება იმისა, რომ ღმერთს მთელი კაცობრიობა იმდენად უყვარს, რომ იესო გამოგზავნა, რათა ყველას ცოდვების გამო მომკვდარიყო, საკმაოდ ადვილია. მაგრამ გჯეროდეს, რომ ღმერთმა იმდენად შეგიყვარა შენ, რომ ერთადერთი პიროვნებაც რომ ყოფილიყავი დედამიწის ზურგზე, იგი მაინც გამოგზავნიდა იესოს, რათა შენთვის მომკვდარიყო. ეს გაცილებით რთულია.

წლების მანძილზე იმედგაცრუებული ქრისტიანი გახლდით,მაგრამ შემდეგ როგორც იქნა ჩავწვდი ღმერთის

სიყვარულს. ღმერთმა თავისი დიდი მოწყალებით სულიწმიდის მეშვეობით გამიცხადა პირადად ჩემდამი თავისი სიყვარულის შესახებ. ამ გამოცხადებამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება და უფალთან დამოკიდებულება.

ვიმედოვნებ, რომ ის, რასაც წინამდებარე წიგნში წაიკითხავთ, მოგიტანთ ხედვას და გაგებას ღმერთის სიყვარულის შესახებ. მწამს, რომ იგი ახალ წყურვილს წარმოშობს თქვენში,რათა თქვენც მიიღოთ ასეთი პირადი გამოცხადება. გირჩევთ გულდასმით წაიკითხოთ ეს წიგნი, გამოიყენოთ იგი როგორც სასწავლო სახელმძღვანელო და ჩაუფიქრდეთ მასში წმიდა წერილიდან მოყვანილ მუხლებსა და აზრებს.

ძვირფასო მკითხველო, მე თავმდაბლობით წარმოგიდგენთ ამ წიგნს, რადგან ვიცი, რომ ღმერთის გარეშე არაფერს წარმოვადგენ და ნებისმიერი გამოცხადება და მისი სიტყვის გაგება მხოლოდ მისი მადლის წყალობით მაქვს მოცემული.

უთხარი მათ,
რომ მე მიყვარს ისინი

1

შენ ღმერთს უყვარხარ!

„რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს,არ დაიღუპოს,არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.“

იოანე 3:16

ღმერთს სურს, რომ ჰქონდეს ოჯახი და ამიტომაც შეგვქმნა ჩვენ,რათა მისი შვილები ვყოფილიყავით. მას არ სურს,რომ ჩვილი ბავშვებივით ვიყოთ,არამედ ვიქცეოდეთ ისე, როგორც მის ძეებსა და ასულებს შეეფერებათ; ვიყოთ მასზე დამოკიდებულნი, გვიყვარდეს იგი და მასაც ვაძლევდეთ ჩვენი სიყვარულის საშუალებას, ვენდობოდეთ და მასთან მიგვქონდეს თითოეული საჭიროება. მას უნდა პირადი ურთიერთობა ჰქონდეს თითოეულ ჩვენთაგანთან.

მრავალი ჩვენგანი, როდესაც იოანეს სახარების 3:16-ს

ვკითხულობთ,მეტისმეტად აბსტრაქტულად განვმარტავთ მას. „დიახ,ვიცი,რომ იესო კაცობრიობის გამო მოკვდა“,- ვამბობთ ჩვენ,მაგრამ “კაცობრიობაში” უბრალოდ ხალხის ბრბო არ იგულისხმება, იესო თითოეული ჩვენგანისთვის მოკვდა. იგი შენთვის მოკვდა!

თქვენ რომ ერთადერთი პიროვნება ყოფილიყავით დედამიწაზე, იგი მხოლოდ თქვენს გამო მოკვდებოდა. ის მხოლოდ თქვენს გამო წავიდოდა იმ ტანჯვაზე, რაც გადაიტანა. ღმერთს ძალიან უყვარხართ. მან საუკუნო სიყვარულით შეგიყვარათ (იერემია 31:3).

ერთხელ მანქანის მართვისას ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა: „ჯოის, შენ ჩემი თვალის ჩინი ხარ.“ იმ დროისთვის ჯერ არ ვიცოდი, რომ ეს ბიბლიაში ეწერა. მტერი მაშინვე მოვიდა აზრებში და მითხრა: „ეს, სიამაყე ლაპარაკობს შენში. მეტისმეტად ბევრს ხომ არ იღებ საკუთარ თავზე? ამის შედეგად გავიფიქრე: „ოჰ, ასე არ უნდა მეფიქრა.“

გაცნობიერება იმისა,რომ განსაკუთრებულები ვართ,რომ საოცარ ნიჭებსა და უნარებს ვფლობთ, ჩვენს ადამიანურ აზროვნებას ეწინააღმდეგება. მაგრამ, ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ჩვენგანი ღმერთის მიერ შექმნილი უნიკალური,ინდივიდუალური პიროვნება ვართ. ღმერთს მოსწონს მრავალფეროვნება და არასოდეს ვიფიქროთ, რომ თუ სხვებს არ ვგავართ, რაღაც რიგზე არა გვაქვს.

ამაზე ფიქრისას, ღმერთი დაელაპარაკა ჩემს გულს და ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ: „ქალი დგას

დახლთან სუპერმარკეტში და ვაშლებს ათვალიერებს. შემდეგ მათ შორის ერთს იღებს, რომელიც მისი აზრით საუკეთესოა. მივხვდი რისი თქმაც სურდა ღმერთს, მე საუკეთესო ,,ვაშლი" ვარ მისთვის. მე განსაკუთრებული ვარ. შესაძლოა, ეს მართებულად არ გეჩვენებათ, მაგრამ იცით, ღმერთი თითოეულ ჩვენგანს ასეთებად გვხედავს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ხართ მხოლოდ წმიდა და ყველა დანარჩენი უწმიდურია. იგი ამბობს, რომ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებული პიროვნებები ვართ. ამას მისი წმიდა სიტყვა ამბობს, ხოლო მისი სიტყვა კი თითოეული ჩვენგანისთვის დაიწერა. თქვენ ღმერთის თვალის ჩინი ხართ.

იმ მომენტში ვერ მივხვდი,თუ რისი თქმა სურდა ღმერთს, რამეთუ საკუთარი თავის ასეთი მაღალი შეფასების გამო მსჯავრი დავდე ჩემს თავს. დაახლოებით ორი დღის შემდეგ ბიბლია ავიღე და ალალბედზე ფსალმუნების წიგნი გადავშალე, სადაც მე-16 ფსალმუნის მე-8 მუხლში ისეთი რამ წავიკითხე, რამაც ძლიერ გამაოცა: ,,შემინახე თვალის ჩინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ შემიფარე." ჩემს თავს ვუთხარი: ,,რა საოცარია, ეს მართლაც ღმერთს უთქვამს ჩემთვის. მე ღმერთის თვალის ჩინი ვარ." ყოველთვის, როდესაც ამ მუხლზე ვფიქრობდი, თავს განსაკუთრებულ პიროვნებად ვგრძნობდი. იცით თუ არა, რომ ღმერთს სურს თავს განსაკუთრებულ, ფასეულ, ძვირფას და საყვარელ პიროვნებად გრძნობდეთ?

თითოეული ადამიანის გულში დევს სურვილი, რომ ვიღაცას უყვარდეს იგი. ღმერთმა შეგვქმნა ასეთებად.

მრავალ ადამიანს სჯერა,რომ ღმერთს უყვარს კაცობრიობა და უყვარს იესო,მაგრამ უჭირთ დაიჯერონ,რომ ღმერთს პირადად ისინი უყვარს. თუმცა,სიტყვა გვასწავლის,რომ ღმერთმა ისევე შეგვიყვარა, როგორც მას იესო უყვარს: „რადგან მამას უყვარს ძე და რასაც აკეთებს,ყველაფერს უჩვენებს მას. ამაზე უფრო დიდ საქმეებსაც აჩვენებს, ისეთებს რომ გაგიკვირდებათ“ (იოანე 5:20).

აქ, ღმერთი ამბობს: „მე დიდებულ საქმეებს ვახდენ იესოს მეშვეობით და ამაზე უფრო დიდ საქმეებს მოვახდენ, ისეთებს, რომ გაგიკვირდებათ“ (პარაფრაზირებულია ავტორის მიერ). იცით, ღმერთს დიდი სურვილი აქვს გაგვაოცოს დიადი საქმეების კეთებით, რათა ამით გვასიამოვნოს და გაგვახაროს.

თუმცა ჩვენ ვკითხულობთ ადგილებს წმიდა წერილიდან, ხშირად მხედველობიდან გვრჩება ის, თუ რისი გაკეთება სურს ღმერთს არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ განსაკუთრებით, ჩვენი მეშვეობით. მას სურს, რომ შევხედოთ დიად საქმეებს, რომლებიც მან იესოს მეშვეობით მოიმოქმედა, და ვირწმუნოთ, რომ მას ამაზე უფრო დიდი საქმეების კეთება სურს ჩვენი მეშვეობით: „ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს,და მათზე დიდსაც გააკეთებს,რადგან მე მამასთან მივდივარ“ (იოანე 14:12).

ყოველდღიურად ღმერთი მრავალ საოცარ საქმეს აკეთებს ადამიანებისთვის, რამეთუ უყვარს ისინი, მაგრამ ადამიანები ვერც კი ამჩნევენ ამას. ისინი ვერ

აცნობიერებენ ამ ყველაფერს. ყოველდღე, როდესაც მზე ამოდის, იგი თქვენთვის და ჩემთვის ამოდის. ყვავილები, მთელი მათი სილამაზით და მრავალფეროვნებით, თქვენი სიამოვნებისთვის ყვავიან. სამყარო, რომელიც ღმერთმა ჩვენთვის შექმნა ულამაზესია. იგი ჩვენთვის არის შექმნილი, რათა ვიცხოვროთ მასზე და მისით ვისიამოვნოთ. დაბადების წიგნის I თავში ნათქვამია, რომ ღმერთმა დედამიწაზე უფლობა ადამიანს გადასცა და მისი ყველა რესურსის ღვთისა და ადამიანის სამსახურისთვის გამოყენება დაავალა.

როდესაც წვიმა თავის დროზე მოდის, იგი თქვენთვის მოდის. როდესაც თოვს,თქვენთვის თოვს. თქვენი ნაბიჯები უფლის მიერ არის წარმართული და იგი გამუდმებით ფხიზლობს თქვენზე.

მეორე რჯულის 7:9-ში ნათქვამია:,,იცოდე,რომ უფალი, შენი ღმერთი, არის ღმერთი, ღმერთი მტკიცე, რომელიც იცავს აღთქმას და წყალობას თავის მოყვარულთათვის და თავის მცნებათა დამცველთათვის ათას თაობამდე.“

მისი ჩვენდამი სიყვარული მუდმივი და უპირობოა. მრავალი ჩვენგანი ფიქრობს, რომ გავტანჯეთ ღმერთი ჩვენი წარუმატებლობებითა და შეცდომებით, მაგრამ ეს შეუძლებელია. თქვენ ვერ შეაჩერებთ ღმერთის თქვენდამი სიყვარულს. სიყვარული არ არის რაღაც, რასაც ღმერთი აკეთებს; სიყვარული – თავად ღმერთია.

თუ ფიქრობთ, რომ მეტისმეტად ცუდი პიროვნება ხართ იმისთვის, რომ ღმერთს უყვარდეთ, ძალიან ცდებით. არ არსებობს მეტისმეტად ღრმა ორმო,

რომლიდანაც ღმერთს არ შეეძლოს თქვენი ამოყვანა. მას თქვენი აღდგენის გეგმა აქვს. იგი არა მხოლოდ გპატიობთ ცოდვებს, თუკი გულწრფელად სთხოვთ ამას, არამედ გვაშორებს მათ ისევე, როგორც აღმოსავლეთია დაშორებული დასავლეთისაგან (ფსალ. 102:10-14).

შესაძლოა თქვათ: „მე მივიღე იესო ჩემს გულში და მიყვარს იგი.“ მაგრამ მე გეკითხებით იმას, თუ რამდენად გჯერათ, რომ ღმერთს უყვარხართ თქვენ?

ღმერთის საუკუნო და უპირობო სიყვარული ძალიან ადვილად გასაგები უწყებაა,თუმცა იგი აგრეთვე ძირითადი საფუძველი გახლავთ,რომელზეც თქვენი ცხოვრება უნდა დაფუძნდეს იმისათვის, რომ ჩაწვდეთ დანარჩენს. მჯერა, რომ მისი გაცნობიერება ჩვენს ცხოვრებაში ყველანაირი განკურნების დასაბამად იქცევა.

მნიშვნელობა არ აქვს, თუ რას შეიტყობთ კიდევ და რამდენად ბეჯითად ეცდებით ღმერთის სიტყვის შესწავლას, თუ არ გააცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ ღმერთს ძლიერ უყვარხართ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ დაგიმსახურებიათ ეს სიყვარული, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევთ ქრისტიანულ ცხოვრებაში. ჩვენ ღმერთისგან რწმენით ვღებულობთ ყველაფერს, მაგრამ რწმენაც კი სიყვარულით მოქმედებს (გალატ. 5:6). ასე რომ, თუ ღმერთის სიყვარული არ მივიღეთ, სხვას ვერაფერს მივიღებთ.

ღმერთის სიყვარული უშიშრად ცხოვრების უნარს გვაძლევს (1 იოანე 4:18), რაც გადამწყვეტ როლს

ასრულებს სიცოცხლით ტკბობისა და ჩვენი დანიშნულების აღსრულებისთვის. მიიღებთ მის თქვენდამი სიყვარულს? იგი უსასყიდლოდ იძლევა; თქვენ ვერ იყიდით მას თქვენი კეთილი საქმეებით... ერთადერთი, რაც შეგიძლიათ, ეს არის მიღება, მიღება და კვლავ მიღება.

2

ვარ თუ არა საკმარისად კარგი?

„ხოლო სასოება არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ. ვინაიდან ქრისტე, როცა ჯერ კიდევ უძლურნი ვიყავით, [არ შეგვეძლო დავხმარებოდით საკუთარ თავებს] განწესებულ ჟამს მოკვდა უკეთურთათვის (მათ სასარგებლოდ). ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის, ხოლო კეთილთათვის, შესაძლოა, ვინმემ კიდევ გაბედოს სიკვდილი. მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე (მესია, ცხებული) მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, (უდანაშაულონი, გამართლებული და ღმერთთან სწორ ურთიერთობაში მოყვანილნი შევიქენით) მით უფრო [აშკარაა, რომ] გადავურჩებით რისხვას მისი წყალობით. ვინაიდან, თუ მისი სიკვდილით

შევურიგდით ღმერთს, როცა მტრები ვიყავით, მით უმეტეს, [აშკარაა] შერიგებულნი გადავრჩებით (ყოველდღიურად დახსნილნი ვიქნებით ცოდვის ბატონობისაგან) მისი [აღმდგარი] სიცოცხლით.“ (ჩართულია ინგლისური თარგმანი. მთარგ. შენიშვ.)

რომაელთა 5:5-10

ჩვენს უმრავლესობას მიაჩნია, რომ ღმერთს მანამდე ვუყვარვართ, სანამ რაღაც შეგვეშლება. ადამიანთა უმეტეს ნაწილს ძალიან არ მოსწონს საკუთარი თავი, ამის შედეგად ისინი ასკვნიან,რომ არც ღმერთს მოსწონს ისინი. თუმცა, ბიბლიაში ნათქვამია: „რა არის კაცი, რომ იხსენიებ?“ (ფსალ. 8:5). უბრალოდ, ჩვენ ღმერთის ქმნილება ვართ და მას ვუყვარვართ მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ ვუყვარვართ. ის სიყვარულია (იხ. 1 იოანეს 4:16). ღმერთს იმის გამო ვუყვარვართ, რომ ასე სურს!

მას უყვარხართ და თქვენ განსაკუთრებული პიროვნება ბრძანდებით. ეს ნიშნავს იმას, რომ გამორჩეული და უნიკალური პიროვნება ხართ. თქვენ არ უნდა იყოთ ჩემი მსგავსი და მე არ უნდა ვიყო თქვენი მსგავსი. ამიტომ, თუ ეცდებით სხვებს შეადაროთ საკუთარი თავი და შეეჯიბროთ მათ, მთელი ცხოვრების განმავლობაში საცოდავი პიროვნება იქნებით. ეს ყველაფერი შესაძლებლობას აძლევს მტერს გითხრათ,რომ საკმარისად კარგი არ ხართ. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთთან არ არის საჭირო „საკმარისად კარგი“

იყოთ. იესო იყო „საკმარისად კარგი“ თქვენს მაგივრად. მან ფასი გადაიხადა თქვენი ცოდვების გამო და საკუთარ თავზე აიღო სასჯელი, რომელსაც თქვენ იმსახურებდით.

ბიბლია ამბობს, რომ თუ მას საკმარისად უყვარდით იმისთვის, რომ თქვენთვის მომკვდარიყო, ახლა რამდენად მეტად ეყვარებით, როდესაც მისი სისხლით გამართლდით? (რომ. 5:8-9). რა თქმა უნდა, მას საკმარისად უყვარხართ, რათა თქვენი ყოველდღიური შეცდომები გაპატიოთ და ყოველგვარი უმართლობისგან გაგწმინდოთ.

ჩემი აზრით, ღმერთი ასე ხედავს ჩვენს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. წარმოიდგინეთ სამი ან ოთხი წლის პატარა გოგონა, რომელიც ყოველთვის აკვირდება დედამისს, როდესაც ის სახლს ალაგებს. მას ისე ძალიან უყვარს თავისი დედიკო, რომ იღებს წყლით სავსე პატარა ვედროს და ჩვარს და მისაღებ ოთახში დიდი ფანჯრის გულმოდგინედ წმენდას იწყებს, შემდეგ რამდენიმე ქაღალდის ხელსახოცით ფანჯარას ამშრალებს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ფანჯარა ზოლებიანი, მოთხუპნული და საპნიანია და პატარა გოგონამ დედამისის საუკეთესო საწმენდი ჩვარი გამოიყენა, მაგრამ, მიდის დედასთან და თავისი საყვარელი წვრილი ხმით მიმართავს: „დედიკო, დედიკო, ნახე, შენი ფანჯარა გავწმინდე, ხომ კარგად გამომივიდა? მიყვარხარ დედიკო.“

მოსიყვარულე დედა აუცილებლად მადლობას გადაუხდის დახმარებისთვის: „ოჰ, შენ ყველაფერი შესანიშნავად გააკეთე, გმადლობ!“ შემდეგ კი, როგორც კი

ბავშვი სხვა რამით დაკავდება, იგი ყველაფერს წესრიგში მოიყვანს. მოგვიანებით დედა აუხსნის თავის გოგონას, რომ ვიდრე იგი დედის დახმარებას გადაწყვეტს, ჯერ მას უნდა მოეთათბიროს.

ეს არის ის, რასაც ღმერთი აკეთებს ჩვენთვის. თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი და მისი განზრახვით ვართ მოწოდებულნი (რომ. 8:28), მას შეუძლია ყველაფერი სასიკეთოდ გვიწიოს. თუ ყველა ღონეს ხმარობ ისე მოიქცე, როგორც უნდა იქცეოდე, სწორედ ამას ელოდება შენგან ღმერთი. თუ გააგრძელებ მის ძიებას, მას შეუძლია და დაგეხმარება კიდეც წარმატების მიღწევაში. იგი თავის ხატების მსგავსად გარდაგქმნით დიდებიდან დიდებაში (2 კორ. 3:18).

„რადგან ის, ვინც ღმერთმა მოავლინა, ღვთის სიტყვებს ლაპარაკობს, [ღმერთის უწყებას აცხადებს] ვინაიდან ღმერთი გამოზომილად არ იძლევა სულს. მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას (მიანდო, მიუძღვნა) მისცა ხელთ“ (ინგლ. თარგმანი) (იოანე 3:34-35).

ერთხელ, როდესაც ამ მუხლს ვიკვლევდი, სიხარულისაგან შევყვირე, გავაცნობიერე რა, რომ ღმერთი თავის სულს გამოზომილად არ იძლევა. იგი გულუხვია და შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ (ეფეს. 3:20).

მეორე რჯულის 7:6-7-ში ღმერთი ამბობს: „რადგან წმიდა ხალხი ხარ შენ უფლისათვის,შენი ღმერთისათვის. შენ ამოგირჩია უფალმა,შენმა ღმერთმა,რომ იყო მისთვის უნჯ ხალხად ყველა ხალხთაგან, რომელნიც დედამიწის ზურგზე არსებობენ. თქვენი სიმრავლის გამო კი არ მოგისურვათ უფალმა და გამოგირჩიათ ყველა ხალხიდან, თქვენ ხომ ყველა ხალხზე უმცირესნი ხართ."

ეს ხომ შესანიშნავია! უფალი ამბობს:„მე შეგიყვარე და წმიდად გამოგაცხადე. მე გითხარი – შენ განსაკუთრებული ხარ. მე აგირჩიე არა იმიტომ,რომ კარგი და შესანიშნავი ხარ, არამედ იმიტომ, რომ მიყვარხარ." იცით თუ არა, თუ რა უნდა ღმერთს თქვენგან? მას სურს, რომ მიიღოთ მისი სიყვარული. შეწყვიტეთ ღმერთის წინაშე წუწუნი და საკუთარ ნაკლოვანებებზე მითითება, ბოლოს და ბოლოს ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს ღმერთისთვის. ვიდრე თავისთან ურთიერთობისაკენ მოგიწოდებდათ, მან ყველაფერი იცოდა თქვენს შესახებ, მათ შორის თითოეული თქვენი შეცდომა.

უდიდესი პრობლემა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აქვს, გახლავთ ის, რომ ჩვენ არ მოგვწონს საკუთარი თავი. ამიტომ, არ გვჯერა, რომ ღმერთს ან სხვა ვინმეს შეიძლება ვუყვარდეთ. ჩვენ ვფიქრობთ: როგორ შეიძლება ჩემი სიყვარული? მე ხომ ამდენი ნაკლი მაქვს! თუ გჯერათ,რომ საშინელი პიროვნება ხართ,ასეც მოიქცევით. თქვენ ვერასოდეს გასცდებით იმ წარმოდგენას,რომელიც საკუთარ თავზე გაქვთ შექმნილი.

ჩემი უდიდესი პრობლემა ის გახლდათ,რომ საკუთარი

თავი არ მომწონდა და ყველანაირად ვცდილობდი შევცვლილიყავი. ვფიქრობდი, რომ მეტისმეტად ბევრს ვლაპარაკობდი,ამიტომ გადავწყვიტე ჩუმად ვყოფილიყავი. მაგრამ, როდესაც ჩუმად ვიყავი, ეს დეპრესიაში მაგდებდა და აგრეთვე ყველას სურდა სცოდნოდა,თუ რატომ ვიყავი ჩუმად. მე კი ვფიქრობდი: ,,განა თქვენ არ მეუბნებოდით, რომ გრძელი ენა მაქვს?! დამანებეთ თავი! ვცდილობ ჩუმად ვიყო!

ვერ გეტყვით წლების განმავლობაში რამდენჯერ ვყოფილვარ ისეთ სიტუაციაში, რომელიც ახლახანს აღგიწერეთ, ახლაც კი ხშირად მაქვს უსიამოვნებები ჩემი ენის გამო. ხშირია შემთხვევები, რომ ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანები მეუღლედ წყნარ და თავშეკავებულ პიროვნებებს ირჩევენ. ეს უფრო მეტად უსვამს ხაზს ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანის ნაკლს და სატანაც გამუდმებით შეახსენებს მათ ამ ნაკლის შესახებ. იგი ცდილობს დაადანაშაულოს ასეთი ადამიანი, რათა დამნაშავედ აგრძნობინოს თავი.

ღმერთს კი სურს, რომ ჩვენ თავისუფლები ვიყოთ მსჯავრდადებისაგან,მაგრამ მისგან განთავისუფლებისთვის რწმენა და გაბედულება გვესაჭიროება. იცით თუ არა, რომ თქვენი დანაშაულის გრძნობა ვერც ერთ თქვენს დანაშაულს ვერ გაამართლებს? როდესაც ცუდად მოიქცევი, რთულია გჯეროდეს რომ ღმერთს უყვარხარ, ასე არ არის?

სატანა გტანჯავს ფიქრებით იმის შესახებ, თუ რა ცუდი პიროვნება ხარ. ,,როგორ შეგეძლო ასე

მოქცეულიყავი“,- ამბობს იგი. „ვინ გგონია თავი? ღმერთი არასოდეს გაკურთხებს, კარგად უნდა მოქცეულიყავი. ახლა ვეღარავის დაუმოწმებ ღმერთზე. ღმერთი ვეღარ გამოგიყენებს. იგი არ უპასუხებს შენს ლოცვებს. არაფერში ვარგიხარ.“

ასეთ მომენტებში მიმართეთ ღმერთს:„უფალო,შეცდომა ჩავიდინე და გთხოვ მაპატიო. გულწრფელად გთხოვ პატიებას.“ შემდეგ სატანას დაელაპარაკეთ და შეახსენეთ, რომ იესომ ფასი გადაიხადა თქვენი ცოდვებისათვის და რომ ნაპატიები და მსჯავრისაგან თავისუფალი ხართ. შემდეგ კი ცხოვრებით დატკბით. მიენდეთ უფალს და კურთხევა იყავით სხვა ადამიანებისთვის.

მაგრამ, შესაძლოა ფიქრობთ: „მე ერთსა და იმავე შეცდომას ვუშვებ კვლავ და კვლავ.“ მეც ასე ვფიქრობდი, ვიდრე არ გადავწყვიტე, რომ ამის გამო მსჯავრი არ დამედო საკუთარი თავისთვის. შეწყვიტეთ მსჯავრის დადება საკუთარ თავზე და შეცდომის ჩადენასაც შეწყვეტთ.

დანაშაულის გრძნობა და მსჯავრდადება გვამძიმებს, გვთრგუნავს და თავისუფლებას გვართმევს. იგი გვასუსტებს და ცოდვისადმი ადვილად მიდრეკილს გვხდის. გაბედულებაა საჭირო იმისათვის, რომ ღმერთის მიერ ნაჩუქარი პატიება მივიღოთ და საკუთარ თავს მსჯავრს არ ვდებდეთ. რწმენით უნდა ვმოქმედებდეთ და უარს ვამბობდეთ დანაშულის გრძნობაზე. მტერი გეტყვით: „შენ რა დანაღვლიანებასაც კი არ აპირებ ამის გამო? რამდენიმე საათის განმავლობაში მაინც უნდა

გრძნობდე თავს ცუდად. მართლაც ცუდი რამ ჩაიდინე.“ თქვენ კი უნდა უპასუხოთ: „არა, არ ვაპირებ. არ ვაპირებ დავნაღვლიანდე ამის გამო.“ თავიდან, შესაძლოა, ცოტა გაგიჭირდეთ შეწინააღმდეგება, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს უფრო ადვილი გახდება.

ესაიას წიგნის 53-ე თავში ვკითხულობთ,რომ როდესაც იესომ ჩვენი ცოდვები საკუთარ თავზე აიღო, მათთან ერთად მან ჩვენი დანაშაული და მსჯავრიც წაიღო. მაგრამ, სატანას არ სურს,რომ მსჯავრდადებისაგან თავისუფალს გხედავდეთ. რატომ? იმიტომ რომ, თუ მსჯავრდადების ქვეშ ხართ, ვერ შეძლებთ სრულიად დატკბეთ ღმერთის სიყვარულით. მსჯავრდადება ღმერთისაგან გაშორებთ და არ შეგიძლიათ მისი თანდასწრებით ისიამოვნოთ. მას ყურადღება ღმერთიდან თქვენს საკუთარ თავზე გადმოაქვს.

იყავით თავისუფალი მსჯავრდადებისაგან და გწამდეთ, რომ თუ ღმერთი ამბობს, რომ მისი მადლი საკმარისია თქვენი ცოდვების დასაფარად, ეს მართლაც ასეა. უფალს უყვარხართ და მისი მადლი და პატიება საჩუქარია თქვენთვის. მხოლოდ მიიღეთ ისინი!

3

სიყვარული – ეს არის ურთიერთობა

„ჩვენ ვცანით (ჩვენთვის გასაგებია,ვაცნობიერებთ, შეგნებული გვაქვს დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად) და ვიწამეთ (მიწებებული ვართ, გვჯერა და ვეყრდნობით) სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში“ (ინგლ. თარგმანი).

1 იოანე 4:16

როგორ შეიძლება ღმერთის სიყვარულის უფრო მეტად შეგნება? მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენად ძლიერ უყვარხართ მას,თუ თქვენ არ გაქვთ შეგნებული ღმერთის სიყვარული, იგი არანაირ სარგებელს არ მოგიტანთ. წუთით დაფიქრდით, თუ რამხელა სიამოვნებას განიჭებთ, როდესაც ვინმე დიდ სიყვარულს ამჟღავნებს თქვენს

მიმართ. როდესაც იცით, რომ ვიღაცას უყვარხართ, ეს საკუთარი თავის რწმენას გმატებთ. ღმერთს უყვარხართ და სურს დაგანახოთ ეს სიყვარული. თითოეულ ჩვენგანს იგი თავისთან ღრმა პირად ურთიერთობაში გვეპატიჟება. მას სურს, რომ ყველაფერში ვეპატიჟებოდეთ, რასაც კი ვაკეთებთ; უნდა, რომ გამუდმებით ვესაუბრებოდეთ და გულს ვუშლიდეთ მას, ისე როგორც ახლო მეგობარს გადავუშლიდით.

გაქვთ ნამდვილი, პირადი ურთიერთობა ღმერთთან? მხოლოდ ის, რომ ქრისტიანი ხართ არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთთან ღრმა ურთიერთობა გაქვთ.

უკვე დიდი ხნის ქრისტიანი ვიყავი, როდესაც ღმერთთან ჩემს ურთიერთობაზე სერიოზულად დავფიქრდი. ყოველ კვირა დღეს დავდიოდი ეკლესიაში და გარკვეული მსახურებაც მქონდა იქ,მაგრამ ღმერთი არ იყო ჩემი ცხოვრების ცენტრი. გულში სიცარიელის და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მქონდა. დღესდღეობით კი, პირველი, ვისზეც დილით, თვალის გახელისას ვფიქრობ – ღმერთია. და უკანასკნელი, ვისზეც ძილის წინ ვფიქრობ, ისევ და ისევ ღმერთია. ჩვენ მთელი დღის განმავლობაში არ ვწყვეტთ ურთიერთობას. ქვეყანაზე არაფერი მსურს უფრო მეტად, ვიდრე ვემსახურო ჩემს ღმერთს და ვასიამოვნო მას. თითოეულ ჩვენგანში ღმერთის მიერ შექმნილი სივრცეა, რომლის შევსებაც მხოლოდ მას შეუძლია. სხვა ვერაფერი, რისკენაც ჩვენ ვისწრაფით, ან რისი მიღწევაც სურს, ვერ შეავსებს ამ სიცარიელეს. რამდენად სერიოზულად უდგებით

ღმერთთან თქვენს ურთიერთობას? გსურთ თუ არა რომ ღმერთი და მისი ნება ყველაფერზე მაღლა დააყენოთ? შეგიძლიათ თუ არა პავლე მოციქულის მსგავსად თქვათ: „მასში ვცოცხლობთ, ვიბრძვით და ვარსებობთ“ (საქმ. 17:28)?

ღმერთს უყვარხართ და თქვენ განსაკუთრებული ხართ მისთვის. მან თავისთან ურთიერთობისთვის შეგქმნათ. ეს მისი უდიდესი სურვილი და სრულყოფილი ნებაა თქვენი ცხოვრებისთვის. ყოველ დილით იგი გიყურებთ და ჩაგჩურჩულებთ: „დილა მშვიდობის, მე შენ მიყვარხარ.“ თუ აქამდე არ გესმოდათ ეს, ამიერიდან მოუსმენთ და დაიჯერებთ ამას?

ერთხელ ჩემს მეგობარს ლოცვის დროს ხედვა ჰქონდა. მან უფალი ნახა, რომელიც დილაობით მორწმუნეების სახლებში შედიოდა. იგი მზად იყო მათთან ურთიერთობისთვის. ის იღებდა სკამს და მაგიდასთან ჯდებოდა. ადამიანები იღვიძებდნენ და მოდიოდნენ და მიდიოდნენ,მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ისინი ეუბნებოდნენ ღმერთს: „მოგვიანებით, უფალო. ცოტა ხნით დარჩი აქ და როგორც კი დავამთავრებ ამ საქმეს,დაგელაპარაკები. დაგითმობ დროს, მაგრამ მოგვიანებით. მოგვიანებით, უფალო, მოგვიანებით.“

დღე დასასრულს მიუახლოვდა. ღმერთმა დამწუხრებულმა დატოვა სახლი,რადგან არავინ მოსულა მასთან სასაუბროდ. ყველა ისეთი დაკავებული იყო ეგრედ წოდებული მნიშვნელოვანი საქმეების კეთებით, რომ ღმერთისთვის დრო აღარ დარჩათ.

ნუ იქნებით მეტისმეტად დაკავებული ღმერთისთვის. თუ დრო არ გაქვთ ლოცვისთვის და მასთან მოზიარეობისთვის, ეს ნიშნავს იმას, რომ მეტისმეტად დაკავებული ხართ. გამოყავით დრო იმისთვის, რომ უთხრათ ღმერთს, თუ რა ძალიან გიყვართ იგი. როდესაც ყველაფერი გადაივლის, არაფერი დარჩება ღმერთის გარდა. ეს ასეა! და თუ თქვენ მანამდე არ გქონიათ მასთან ურთიერთობა, უკვე გვიან იქნება ასეთი ურთიერთობის დაწყება. მამაჩემი ახლახანს გარდაიცვალა და მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ მან სიკვდილამდე სამი წლით ადრე მიიღო იესო საკუთარ მხსნელად. თუმცა, მამაჩემი ზეცაში წავიდა, მან ვერ განიცადა სიხარული ღმერთისთვის გამარჯვებული ცხოვრებით ცხოვრების შედეგად. იგი ყოველთვის საკუთარი თავისთვის ცხოვრობდა. ნუ დაასრულებთ ცხოვრებას სინანულით იმისა, რომ იგი უმნიშვნელო საგნებზე ზრუნვაში გაფლანგეთ. დრო ძვირფასი საჩუქარია ღმერთისგან და ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, თუ რაზე ვხარჯავთ მას. იცით, დროის დაბრუნება შეუძლებელია. ღმერთთან გატარებული დრო შესანიშნავ ჯილდოს იძლევა, ხოლო მრავალი დანარჩენი საგნები კი მხოლოდ იაფფასიან სიამოვნებას გვთავაზობს ძალიან დიდ ფასად.

ასეთ წინადადებას გთავაზობთ: ერთი წლის განმავლობაში მაინც მიეცით ღმერთს საშუალება, რომ უყვარდეთ. მის სიყვარულს სიცოცხლის სისავსე, მშვიდობა, სიხარული და ენთუზიაზმი მოაქვს. უბრალოდ მოდუნდით და იმოქმედეთ ისე, როგორც მისმა შვილმა.

ისწავლეთ მის შესახებ და შეიცანით იგი.

იოანეს პირველი წერილის 4:16-ში დაწერილია:

„ჩვენ ვცანით (ჩვენთვის გასაგებია, ვაცნობიერებთ, შეგნებული გვაქვს დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად) და ვიწამეთ (მიწებებული ვართ, გვჯერა და ვეყრდნობით) სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს.“

შესაძლოა, დილით, გაღვიძებისთანავე ვერ იგრძნოთ, რომ ღმერთს უყვარხართ. შესაძლოა, ძალაც არ გაქვთ და ცუდ ხასიათზე ხართ და ფიქრობთ, რომ მთელი დღე ასეთ ხასიათზე იქნებით, მაგრამ, თქვენი გარემოებების შეცვლა რწმენისა და გამხნევების სიტყვების წარმოთქმით შეგიძლიათ. ხმამაღლა თქვით: „ღმერთს ძალიან ვუყვარვარ. მე მისი თვალის ჩინი ვარ და მას შესანიშნავი გეგმა აქვს ჩემი ცხოვრებისთვის.“ თუ თქვენი პრობლემებისა და გრძნობების ნაცვლად ღმერთსა და მის სიტყვაზე ისაუბრებთ, მთელი თქვენი დღის შეცვლა შეგეძლებათ. ანგელოზები ღმერთის სიტყვას უსმენენ და არა ჩვენს წუწუნს.

დაელაპარაკეთ საკუთარ თავს და გაიგეთ, რომ თქვენ არა მხოლოდ გარემოცული ხართ ღმერთის სიყვარულით, არამედ ღმერთის სიყვარული იღვრება თქვენზე. ბიბლია ამბობს,რომ ღმერთმა თავის ხელის გულებზე გამოგვსახა (ესაია 49:16). წარმომიდგენია, როგორ ამბობს იგი, უყურებს რა ჩვენს გამოსახულებას: „შეხედეთ, ხედავთ? ხომ მშვენიერი შვილები მყავს? ოჰ, მე ძალიან მიყვარს ისინი. უბრალოდ, შეხედეთ ჩემს შვილებს ჩემს ხელის

გულებზე რომ მყავს გამოსახული.“ მას ხელის გულებზე ჰყავხართ გამოსახული, როგორც მუდმივი შეხსენება იმისა, რომ მას უყვარხართ და თქვენთან მოზიარეობა სწყურია.

გახსოვდეთ, რომ მუდამ მადლიერი იყოთ ღმერთის და მუდმივი ურთიერთობა განავითარეთ მასთან. ზოგჯერ, შესაძლოა, ყველა თქვენი საქმიანობა შეწყვიტოთ და მუხლებზე დავარდეთ ღმერთის წინაშე, რათა მადლობა შესწიროთ,რომ იცნობთ მას და აგრეთვე იმისთვის,თუ რა შესანიშნავია იგი. უბრალოდ მოდუნდით და გიყვარდეთ ღმერთი. იოანეს პირველი წერილის 4:16-17 მუხლებში ნათქვამია: „ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში. [მასთან ასეთ ერთობასა და მოზიარეობაში] სიყვარულმა ჩვენში მიაღწია ისეთ სრულყოფას, რომ გულდაჯერება გვქონდეს განკითხვის დღეს.“

ცოდნა იმისა, რომ ღმერთს უყვარხარ, მისი ერთგულებისადმი რწმენას გაძლევს. თუ მისცემთ ღმერთს თქვენი სიყვარულის საშუალებას – ყველა კურთხევას დაიმკვიდრებთ: უდიდეს რწმენას, ცოდვაზე გამარჯვებას, სიმშვიდეს გულში, განკურნებას, სიცოცხლის სისავსესა და სიხარულს. ეს ყველაფერი მოვა, თუკი ღმერთს თქვენი სიყვარულის უფლებას მისცემთ. ხშირად ვფიქრობთ: „მე ღმერთი უნდა მიყვარდეს. მაგრამ, მჯერა, რომ ჯერ ღმერთს უნდა მისცეთ თქვენი სიყვარულის უფლება. მიმაჩნია, რომ თქვენ ვერ გამოხატავთ თქვენს სიყვარულს ღმერთის მიმართ, თუ მანამდე მას არ

მისცემთ თქვენი სიყვარულის უფლებას. ბიბლია ამბობს, რომ ჩვენ გვიყვარს იგი, რამეთუ თავდაპირველად მან შეგვიყვარა (1 იოანე 4:19).

შემიძლია გითხრათ, რომ მოზიარეობა უნდა გქონდეთ ღმერთთან, მაგრამ როგორ უნდა მოახერხოთ ეს? როდესაც ღმერთმა მითხრა მოზიარეობა მქონოდა მასთან, დივანზე დავჯექი და ვუთხარი მას: „ახლა რა გავაკეთო, უფალო?“ მართალია! არ ვიცოდი თუ როგორ უნდა ვყოფილიყავი ღმერთთან მოზიარეობაში, რადგან იმ დროისთვის არ ვიცოდი, თუ რამდენად ძლიერ ვუყვარდი და არ მესმოდა, რომ ღმერთს სურდა მისი მეგობარი და მუდმივი კომპანიონი ვყოფილიყავი.

ასე რომ, გადადგით პირველი ნაბიჯი უფლისკენ. მიეცით უფალს შესაძლებლობა და ის გასწავლით თავისთან მოზიარეობას. მე არ ვცდილობ, რომ ღმერთთან მოზიარეობის გარკვეული ფორმულა მოგცეთ. არამედ მსურს, რომ სულიწმიდით იყოთ მართული. ღმერთს სურს, რომ მასთან თავს მყუდროდ გრძნობდეთ... ბოლოს და ბოლოს, ბიბლიის თანახმად, იგი თქვენი სახლია.

4

სიყვარული, ნდობა და რწმენა

„ვინაიდან [თუ ქრისტეში ვართ] ქრისტეში ძალა არა აქვს არც წინადაცვეთას, არც წინადაუცვეთელობას, არამედ სიყვარულით მოქმედ რწმენას.“

გალატელთა 5:6

მრავალი ჩვენგანი ძალიან ბევრ დროს ხარჯავს რწმენის შეძენაში. ვიცით, რომ რწმენის გარეშე შეუძლებელია ვასიამოვნოთ ღმერთს (იხ. ებრაელთა 11:6), ასე რომ, ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ უფრო მეტი რწმენა გვქონდეს. მაგრამ, რწმენა გულიდან გამომდინარეობს და იგი მხოლოდ ღმერთთან სიყვარულით სავსე მოზიარეობითა და მისი სიტყვის მოსმენით მიიღება. იგი ღმერთისაგან მიღებული გამოცხადების შედეგად მოდის. მე არ შემიძლია გასწავლოთ, თუ როგორ შეიძინოთ რწმენა, მაგრამ შემიძლია რწმენის პრინციპები

გასწავლოთ და ამით მისი მიღების ისეთი წყურვილი წარმოვქმნა თქვენში, რომ ყველაფრისთვის მზად იყოთ მის მისაღწევად. რწმენა ეს არის გაწვდილი ხელი ღმერთისაკენ მისაღებად.

შეწყვიტეთ ასე ძლიერ ბრძოლა რწმენის შესაძენად და ღმერთის საამებლად და ეს დრო და ძალისხმევა ღმერთთან ერთობას მოახმარეთ, გიყვარდეთ იგი და მიიღეთ მისი სიყვარული.

,,ვინაიდან, რწმენით დავდივართ [ჩვენ ჩვენი ცხოვრება და ქცევა შესაბამისობაში მოგვყავს ჩვენს მტკიცე რწმენასთან და ეჭვი არ გვეპარება ჩვენს ღმერთთან ურთიერთობებში,რომლებიც მის ნდობასა და მასთან ახლოს ყოფნის სწრაფვაზეა დაფუძნებული] და არა ხილვით (ინგლ. თარგმანი) (2 კორ. 5:7). ერთხელ ამ მუხლის კითხვისას, ღმერთმა მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებების გაცხადება დაიწყო ჩემთვის. მე ვცდილობ რწმენით ვიარო. ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, მსურს რწმენით ვაკეთებდე. და წმიდა წერილის ეს მონაკვეთი ამბობს, რომ მე მხოლოდ იმის მიხედვით შემიძლია რწმენით სიარული, თუ როგორი ურთიერთობა მაქვს ღმერთთან. შეჩერდით და დაფიქრდით ამაზე. ჰკითხეთ საკუთარ თავს, რას ფიქრობთ, როგორი ურთიერთობა გაქვთ ღმერთთან? პიროვნება, რომელსაც მიაჩნია, რომ ღმერთის თვალში ის უმართლოა,არ უნდა მოელოდეს რწმენაში სიარულს. ჩვენ იესო ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობით გავმართლდით (2 კორ. 5:21). ჩვენი სიმართლე არ არის დაფუძნებული ჩვენს საქმეებზე; იგი დაფუძნებულია იმაზე, რაც იესომ

გააკეთა. პიროვნება, ვისაც სჯერა, რომ იგი საცოდავი წარუმატებელი ადამიანია და რომ ღმერთს არ უყვარს იგი, ასეთი პიროვნება ვერ ივლის რწმენით.

გალატელთა მიმართ წერილის 5:6 ამბობს, რომ რწმენა მოქმედებს სიყვარულით. მრავალ ადამიანს ამ მუხლის კითხვისას მიაჩნია, რომ თუ იგი მოახერხებს სხვა ადამიანების შეყვარებას, ამით რწმენას თავის სასარგებლოდ აამოქმედებს და ყველაფერს მიიღებს ღმერთისგან. თუმცა ღმერთის სურვილია, რომ სიყვარულში დავდიოდეთ, შეუძლებელია ამის მიღწევა, თუ ჯერ მას არ მივცემთ ჩვენი სიყვარულის უფლებას. ეს ძალიან მარტივია: ვერ გავცემთ იმას, რაც თავად არ გვაქვს. მრავალი წლის მანძილზე ვცდილობდი მყვარებოდა ადამიანები, რამეთუ ვიცოდი, რომ ეს ღმერთის მცნებას წარმოადგენდა, მაგრამ გამუდმებით მარცხი მომდიოდა, ვიდრე ის უპირობო სიყვარული არ მივიღე, რომელიც ღმერთს ჩემს მიმართ გააჩნდა. რაც უფრო კარგად ვფიქრობდი საკუთარ თავზე, მით უფრო მეტად მიყვარდა ადამიანები ნამდვილი სიყვარულით. ჭეშმარიტად რომ იცოდეთ, რა ძლიერ უყვარხართ ღმერთს, მით უფრო ადვილი იქნებოდა თქვენთვის საჭიროებებზე პასუხის მიღება. მიზეზი, რის გამოც ადამიანები ვერ ღებულობენ პასუხს საჭიროებებზე, შემდეგში მდგომარეობს: სინამდვილეში, მათ არ სჯერათ, რომ ღმერთს უყვარს ისინი და სურს დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და აკურთხოს.

შესაძლოა თქვათ: „მე მინდა მჯერდეს ეს, მაგრამ როგორ?“ ღმერთის სიყვარული თქვენს შინაგანშია და ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოთ, ეს არის ის, რომ როდესაც ღმერთი დაგანახებთ ამ სიყვარულს, თქვენ უნდა აღიაროთ იგი. ბიბლია ამბობს: „ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა“ (1 იოანე 4:19). შეუძლებელია გიყვარდეთ ღმერთი, ვიდრე არ დარწმუნდებით ფაქტში, რომ ჯერ მან შეგიყვარათ.

ეს ყველაფერი თქვენს გულშია. ღმერთს უყვარხართ! თქვენ შესანიშნავი პიროვნება ხართ! თქვენ მშვენიერი ხართ! თქვენ ლამაზი ხართ! თქვენ ნიჭიერი ხართ! თქვენ ძვირფასი ხართ! თქვენ ღმერთს უყვარხართ! ვერავის ვერასოდეს ეყვარებით ისე, როგორც ღმერთს უყვარხართ. რაც უფრო მეტს იფიქრებთ ღმერთის სიყვარულზე, მით უფრო ადვილი იქნება თქვენთვის რწმენის გამონთავისუფლება და ისეთი ცხოვრებით ცხოვრება, როგორც ღმერთმა ჩაიფიქრა თქვენთვის.

ჩვენთვის მხოლოდ ღმერთიც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მას სხვა ადამიანები შემოჰყავს ჩვენს ცხოვრებაში. სამყაროში მხოლოდ ღმერთი და თქვენ რომ ცხოვრობდეთ, ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა. ღმერთი თქვენი საუკეთესო მეგობარია. იგი მეუღლეს შეგიცვლით, თუკი არ გყავთ. თქვენთვის დედ-მამის მაგიერი იქნება, თუ არ გყავთ ისინი. მასში ყველაფერი გაქვთ, რაც გჭირდებათ. ნუ დაუშვებთ შეცდომას და ნუ სთხოვთ ღმერთს რაღაც-რაღაცეებს თქვენი თავისთვის; არამედ სთხოვეთ, რომ უფრო მეტად გამოვლინდეს თქვენს ცხოვრებაში.

სთხოვეთ აგავსოთ თავისით (ეფეს. 3:16,19).

ღმერთს უყვარხართ და, რა თქმა უნდა, სურს თქვენი საჭიროებები და თქვენი გულის სურვილები დააკმაყოფილოს. ისიამოვნებთ რა მისით, იგი ყველაფერს მოგცემთ თავის დროზე. ღმერთმა უთხრა აბრაამს, რომ აკურთხებდა მას და კურთხევა გახდებოდა სხვებისთვის. სწორედ ამის გაკეთება უნდა ღმერთს შენთვისაც, მაგრამ საჭიროა გწამდეს ეს! გამოანთავისუფლე შენი რწმენა და გწამდეს ღმერთის ყველა დაპირების, ვინაიდან ისინი შენთვის არის!!!

რწმენა ხორცის საქმეების წინააღმდეგ

ეფესელთა მიმართ წერილის 2:8 ამბობს: „მადლით (ღმერთის დაუმსახურებელი მადლით) ხართ გადარჩენილები.“ აცნობიერებთ თუ არა, რომ თქვენ არ დაგიმსახურებიათ გადარჩენა? როდესაც ღმერთმა გადაგვარჩინა, მრავალი ჩვენგანი განსაკუთრებულად ბოროტი ცოდვილები ვიყავით. მისი გადარჩენა ნამდვილად არ ყოფილა დაფუძნებული ჩვენს კეთილ საქმეებზე. ჩვენ მხოლოდ ერთი რამის გამო გადავრჩით: ღმერთმა იმდენად შეგვიყვარა, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე (იხ. იოანე 3:16).

მადლი შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც ღმერთის სურვილი, გამოიყენოს თავისი უნარი თქვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ისევე როგორც

ღმერთმა საკმარისი რწმენა მოგცათ გადასარჩენად,თავისი სიყვარულის გამო, იგი სხვა საჭიროებებზე პასუხის მისაღებადაც გაძლევთ რწმენას. ალბათ თქვენ გსურთ, რომ თქვენმა ახლობლებმაც მიიღონ ქრისტე პირად მხსნელად, მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ვერავის დააძალებთ ღმერთის სიყვარულს. შეგიძლიათ ილოცოთ და სთხოვოთ ღმერთს ჩაერიოს მათ ცხოვრებაში, მაგრამ ამას თქვენი ძალისხმევით ვერ მიაღწევთ.

ხორცის საქმეებს ყოველთვის იმედგაცრუება მოაქვთ, რამეთუ იმის გაკეთებას ვცდილობთ, რისი გაკეთებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ჩვენ ვშრომობთ,მაგრამ კარგ შედეგებს ვერ ვაღწევთ. ბიბლია ამბობს, რომ ღმერთი თავად გვეწინააღმდეგება, სასოწარკვეთილებაში გვაგდებს და გეგმებს გვიშლის, ვიდრე მისი ძლიერი ხელის ქვეშ არ დავმდაბლდებით (1 პეტრე 5:5).

თუ რწმენა,რომელიც ღმერთმა თქვენი გადარჩენისთვის გიბოძათ, საკმარისი იყო თქვენი ყველა ცოდვისაგან დასახსნელად, იგივე რწმენა იმყოფება თქვენს შინაგანში, რათა ნებისმიერი თქვენი საჭიროება დააკმაყოფილოს. თუ თქვენ გაქვთ ღმერთის სიყვარულის საფუძველი ცხოვრებაში, ამ შემთხვევაში შეგიძლიათ მიენდოთ მას. შეგიძლიათ იაროთ რწმენით და არა ხილვით. თქვენს გულში გეცოდინებათ, რომ ღმერთი თავისი დაპირებების ერთგულია.

ბიბლიის ვრცელი თარგმანის თანახმად, რწმენა არის „ღმერთის სრული ნდობა, დარწმუნებულობა მის

ძალაში, სიბრძნესა და სიკეთეში“ (კოლ. 1:4). თუკი მისცემთ ღმერთს თქვენი სიყვარულის უფლებას, ამის გაკეთებასაც შეძლებთ. რაც უფრო ღრმა გახდება თქვენი ურთიერთობა ღმერთთან, მით უფრო დიდი იქნება თქვენი რწმენა. დაინახავთ, თუ რა ძლიერ საქმეებს მოიმოქმედებს ღმერთი თქვენში და თქვენგან, ისევე როგორც თქვენთვის, მაგრამ ეს ყველაფერი მისი სიყვარულის გამოცხადებით იწყება. ღმერთს უყვარხართ! არასოდეს დაეჭვდეთ ამაში.

5

შიშისაგან თავისუფლება

„სიყვარულში არ არის შიში [არ არსებობს შიში], არამედ (სრული) სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო [ასე, რომ] მშიშარა არ არის სიყვარულში სრულყოფილი [ჯერ არ მიულწევია სრულყოფილი სიყვარულისთვის]“ (ბიბლიის ინგლ. თარგმანი).

1 იოანე 4:18

შესაძლოა, ისეთ დონეს მივაღწიოთ, რომ რწმენით დავდიოდეთ, ვენდობოდეთ ღმერთს და დარწმუნებული ვიყოთ, რომ მას ვუყვარვართ. მაგრამ, შესაძლოა მტერმა უეცრად შემოგვიტიოს.

ჩვენი ცხოვრების გარემოებები – ის ცხოვრებისეული სირთულეები, რასაც გავდივართ – ყველაზე უკეთესად ცდის ჩვენს რწმენას. ზოგიერთ ადამიანს ადვილად შეუძლია იწამოს, რომ ღმერთს უყვარს იგი მანამ, სანამ გარემოებები არ დააეჭვებს მას ამაში.

შედეგად მტერი შიშითა და მსჯავრდადებით შეიარაღებული მოდის, რათა დაგაშოროს ერთადერთ რამეს, რასაც შენი დახმარება შეუძლია – ღმერთის სიყვარულს. „აბა, რა ხდება?“ ამბობს იგი. „მეგონა ღმერთს უყვარდი. მაშ რატომ გემართება ასეთი ცუდი რაღაცეები? ალბათ, საშინელი რამ ჩაიდინე. ალბათ, ღმერთი ძალიან გაბრაზებულია შენზე.“

განსაცდელისა და გასაჭირის პერიოდში, რომლებიც უსამართლოდ გეჩვენება, ძალიან ადვილია ღმერთის იმედი დაკარგო. ღმერთი ყოველთვის არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა ემოქმედა. მას გეგმა აქვს, რომელიც ჩვენს გეგმაზე გაცილებით დიდია. ჩვენი გარემოებების შეცვლაზე ძალიან, მას ჩვენი შეცვლა სურს. იგი ხშირად მტკივნეულ გარემოებებს იყენებს, რათა მხოლოდ მას ვენდობოდეთ. ასეთ დროს ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, თუ რა ხდება და ადვილად შეგვიძლია სატანის მახეში ჩავარდეთ და ვიფიქროთ, რომ ღმერთს არ ვუყვარვართ. ბიბლია ამბობს, რომ არაფერს უნდა მივცეთ უფლება ჩამოგვაშოროს ღმერთის სიყვარულს, რომელიც იესო ქრისტეზეა დაფუძნებული (რომ. 8:35-39). ასეთ დროს ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ: „ღმერთო, ვიცი რომ გიყვარვარ და მჯერა, რომ ყოველივე სასიკეთოდ მეწევა.“

ზოგჯერ ღმერთი აგვიანებს ჩვენს დახსნას და გვგონია, რომ უკვე ძალიან გვიანაა. გახსოვთ ლაზარე? იგი ავად იყო, მაგრამ იესო მის სიკვდილს დაელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა მის და მისი ოჯახის

დასახმარებლად. მართამ უთხრა იესოს, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო, მაგრამ იესომ ზუსტად იცოდა რასაც აკეთებდა. შესაძლოა მან ჩვენი დროის განრიგით არ იმოქმედოს, მაგრამ ძალიან არასოდეს დაიგვიანებს. როდესაც განსაცდელი გაქვს, მოუხმე რწმენას. უფლებას ნუ მისცემ შიშსა და დაბნეულობას ღმერთის სიყვარული მოგპარონ.

იოანეს პირველი წერილის 4:18 ძლიერი მუხლი გახლავთ: „სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს“. ამ მუხლზე ძალიან ბევრს ვფიქრობდი და ერთ დღესაც მივხვდი: სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს და ეს სრულყოფილი სიყვარული – ღმერთია. როდესაც ვიცით, თუ რამდენად სრულყოფილი სიყვარულით ვუყვარვართ ღმერთს, არანაირი შიში არ გვაფრთხობს. თუმცა, შესაძლოა, ზოგჯერ შიშის გრძნობა დაგეუფლოთ, ღმერთთან ერთად უნდა გააგრძელოთ წინსვა, რამეთუ იცით, რომ იგი მუდამ თქვენთან არის.

შეუძლებელია მარცხის გეშინოდეთ, თუ იცით, რომ ღმერთს უყვარხართ. ამ შემთხვევაში არ გეშინიათ რაღაცის კეთება სცადოთ, რამეთუ იცით, რომ ღმერთის თქვენდამი სიყვარული არ არის დაფუძნებული თქვენს სრულყოფილებაზე. თუ ღმერთზე ხართ დამოკიდებული, არ დაეცემით. წარუმატებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საკუთარ თავზე ამყარებთ იმედს. თუ ღმერთზე გექნებათ თვალები მიმართული, შესაძლოა ყველაფერი თქვენი გეგმის თანახმად არ წარიმართოს,

მაგრამ აუცილებლად კარგად დასრულდება. თუ იცით,რომ ღმერთს უყვარხართ, არ შეგეშინდებათ წარუმატებლობის, უარყოფის, უკმარისობის, წარსულის, მომავლის ან რაიმე სხვის.

ღმერთის სიყვარული იმდენად დიდებულია, რომ ყველაფერს ფარავს. ნუთუ ფიქრობთ, რომ იგივე ღმერთი, რომელმაც გადაგარჩინათ და გაგანთავისუფლათ, თავს წარუმატებელ პიროვნებად გაგრძნობინებთ? განა დახმარების გარეშე დაგტოვებთ? სატანა ჩვენი სულების მტერია. იგი ქურდი და მატყუარაა, მაგრამ იესოს სურს, რომ სიცოცხლე გვქონდეს და უხვად გვქონდეს (იოანე 10:10).

ბიბლიის ინგლისურ თარგმანში წმიდა წერილის ის მონაკვეთი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ასე იკითხება: ,,სიყვარულში არ არის შიში [არ არსებობს შიში],არამედ (სრული) სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო [ასე რომ] მშიშარა არ არის სიყვარულში სრულყოფილი[ჯერ არ მიუღწევია სრულყოფილი სიყვარულისთვის].“

მას შემდეგ, რაც ღმერთმა გამიცხადა, რომ იგი დევნის შიშს,მალევე მომიწია ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ჩვენს ავტომობილს პრობლემები ჰქონდა. როგორც ჩვენ ვფიქრობდით მას გადაცემის ყუთი ჰქონდა დაზიანებული, რის შეკეთებასაც საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა, რომელიც ჩვენ არ გვქონდა. ვაგრძელებდით მისით სიარულს და ვიმედოვნებდით,რომ შუა გზაში ნაწილებად არ დაიშლებოდა.

ერთ დილას ვიგრძენი,თუ როგორ ცდილობდა ღმერთი ჩემს გამხნევებას შემდეგი სიტყვებით: „ჯოის, მე მინდა, რომ ეს დღე ჩემს სიყვარულში გაატარო და აგრეთვე მეც მომცე უფლება მიყვარდე. სხვა არაფრის კეთება არ გჭირდება. არ გჭირდება ეცადო დიდი რწმენის დედაკაცი იყო. ყველაფერი რაც გჭირდება, ეს ჩემს სიყვარულში დარჩენაა.“

ასე რომ, ვიჯექი და ღმერთს ვუგალობდი, შესანიშნავ დროს ვატარებდი. უეცრად, გარაჟიდან ხმა მომესმა, არადა ჩემი მეუღლე ორმოცდახუთი წუთის წასული იყო სამსახურში. მან კარი შემოაღო და მითხრა: „პირველი სიჩქარიდან ამოგდება ვერა და ვერ შევძელი. მგონი მანქანის სახელოსნოში წაღება მოგვიწევს.“

კარები დავხურე და სიცილი დავიწყე. როგორც წესი, ასეთ სიტუაციაში ასე არ მოვიქცეოდი და არც გადამიწყვეტია ასე მოქცევა. ეს თავისთავად მოხდა. ვინაიდან ღმერთს სიყვარულის საშუალება მივეცი,რთულ სიტუაციაშიც კი შევძელი გაცინება. როდესაც ღმერთის სიყვარულში ვრჩებით, ეს შიშის ნაცვლად, რწმენას უღებს კარებს. მე უბრალოდ სიცილი დავიწყე და ეს რწმენის გამოვლინება გახლდათ. ვიცინოდი, რამეთუ გულის სირღმეში ვიცოდი, რომ ღმერთს ვუყვარდით და ყველაფრით უზრუნველგვყოფდა.

აბრაამმა რწმენის სიცილით გაიცინა. როდესაც ღმერთი მივიდა მასთან და უთხრა, რომ მას ძე შეეძინებოდა, აბრაამმა გაიცინა! მან იცოდა, რომ ბუნებრივი წესის თანახმად შეუძლებელი იყო მას და სარას შვილი

ჰყოლოდათ, მაგრამ იგი ღმერთს ერწმუნა და მისი სიხარული სიცილით გამოვლინდა.

მწამს,რომ როდესაც ასე ვმოქმედებთ,ეს ღმერთს კარებს უღებს საოცარი გზით ჩაერიოს ჩვენს ცხოვრებაში და დაგვეხმაროს. ვის მოუვა აზრად გაიცინოს პრობლემების დროს? ბიბლიაში ნათქვამია, რომ ღმერთი ზის ზეცაში და თავის მტრებს დასცინის. თუ ღმერთს შეუძლია ეს, ჩვენც შეგვიძლია. დაიწყეთ რწმენის სიცილით სიცილი. ბოლოს და ბოლოს, თავად ღმერთს უყვარხართ. და ღმერთი თქვენსკენაა, ვინ გამოვა თქვენს წინააღმდეგ?

6

სიყვარული გასცემს

„და ასეთი მცნება (ბრძანება, მითითება) გვაქვს მისგან, რომ ღვთის მოყვარულს თავისი [მორწმუნე] ძმაც უნდა უყვარდეს“ (ინგლ. თარგმანი).

1 იოანე 4:21.

თქვენ ღმერთის განსაკუთრებული შვილები ხართ. იგი ამის შესახებ მეორე რჯულის 7:6-ში გეუბნებათ. თუ დაიწყებთ ისე მოქმედებას, როგორც მისი განსაკუთრებული შვილი, ამით სამყაროს შეცვლით. სუპერმარკეტში ღიმილით წახვალთ, იფიქრებთ რა: „მე ღმერთს ვუყვარვარ, ყველაფერი კარგად არის ჩემს ცხოვრებაში, სიყვარულით, რომელსაც ღმერთისგან ვგრძნობ, შემიძლია სხვებიც ვაკურთხო.“ უბრალოდ, სადაც წახვალთ იყავით ბედნიერი და თქვენი სიხარული სხვებსაც აკურთხებს. ფსალმუნების 99:2 მუხლში წერია: „ემსახურეთ უფალს სიხარულით!“.

როდესაც ვაცნობიერებთ, თუ რა ძვირფასნი ვართ

ღმერთის საერთო გეგმის თანახმად და შესაბამისად ვიწყებთ მოქმედებას, მთელი მსოფლიოს მოპოვება შეგვიძლია იესოსთვის. სიყვარული სწრაფად გავრცელდება. ღმერთის სიყვარული, რომელიც თქვენგან იდინებს, გაუფრთხილდება სხვა ადამიანების გულებს. მისი სიყვარული შიშისაგან გაგანთავისუფლებთ და არ შეგეშინდებათ სხვა ადამიანების ღმერთისთვის შეძენა სიყვარულით. არ შეგეშინდებათ უარყოფის, ან იმის, რომ ვიღაც საკუთარი ინტერესისთვის გამოგიყენებთ; ღმერთის სიყვარული დაინახავს სხვა ადამიანების საჭიროებებს და მათ დაკმაყოფილებას შეეცდება.

ღმერთს სურს გჯეროდეთ მისი ნათქვამის, რომ თქვენ იესოზე უფრო დიდ საქმეებს გააკეთებთ, ვინაიდან იესო მამასთან წავიდა. ნამდვილად გჯერათ თუ არა, რომ ღმერთი გამოგიყენებთ? ღმერთი იმას მოგცემთ, რასაც დაიჯერებთ, რომ მოგცემთ. არ უნდა შეგეშინდეთ ნაბიჯის გადადგმა.

ძალიან ბევრჯერ ვმდგარვარ „რწმენის ციცაბო კლდეზე“ და შიშით მიცდია რაღაცის კეთება. ჩანდა, თითქოს ღმერთი მეუბნებოდა: „მოდი, ჯოის, მოდი. მე დიად საქმეებს მოვიმოქმედებ შენი მეშვეობით. მოდი.“ ასეთ დროს რწმენის დიდ ნახტომს ვაკეთებდი და უფალს არასოდეს გაუმტყუნებია ჩემთვის იმედი.

იცით, რატომ არ მეშინია წარუმატებლობის? ეს იმის გამოა, რომ ვიცი, ღმერთს ვუყვარვარ. მას ვუყვარვარ და იცის, რომ მეც მიყვარს და მისი მადლით არის, რომ ჩემი ცხოვრება მას დავუმორჩილე. თუ თქვენს

შემთხვევაშიც ასეა, თუ გიყვართ ღმერთი და იცით, რომ მასაც უყვარხართ, არ არსებობს პრობლემა, რომლის გადალახვასაც ვერ შეძლებთ.

თუ თქვენ ნამდვილად გსურთ სხვა ადამიანების დახმარება, ღმერთი დაგეხმარებათ მათ დახმარებაში. ამისთვის არც არის აუცილებელი დიდი უნარის ქონა; უბრალოდ საჭიროა ღმერთის მორჩილებაში დარჩეთ და დანარჩენს ის მოაგვარებს. შესაძლოა, ფიქრობთ, რომ თქვენი ნიჭები მეტისმეტად უბრალოა, მაგრამ ზოგჯერ რაც უფრო უბრალოა რაღაც, მით უფრო მეტი ძალა დევს მასში.

ნუ იცხოვრებთ ეგოისტური ცხოვრებით და მთელს თქვენს ენერგიას მხოლოდ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას ნუ მოახმართ. სწრაფად უთხარით ღმერთს თქვენი საჭიროებების შესახებ და შემდეგ განავითარეთ თქვენი რწმენა სხვა ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებით. რასაც სხვის ცხოვრებაში მოიტანთ, იგივეს მოგცემთ ღმერთი თქვენს ცხოვრებაშიც. როდესაც საჭიროება გაქვთ იყავით მთესველები და არა მიმღებები. როდესაც სხვებისთვის გასცემთ, ღმერთი თქვენს მიერ გაცემულს ღებულობს, როგორც თქვენი სურვილის მოსავლის თესლს.

ყველას სურს წარმატებული ცხოვრებით ცხოვრობდეს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, თუ რა არის ნამდვილი წარმატება. მიყვარს მისი ასე განსაზღვრა: „წარმატება – ეს არის ღმერთის უნარის გამოყენების უნარი თითოეული საჭიროებისთვის, რომელიც გზაზე

გხვდება. ღმერთის სიყვარული მოგცემთ უნარს სხვა ადამიანების საჭიროებები თქვენსაზე წინ დააყენოთ. როგორ ფიქრობთ, ღმერთს საკმარისად უყვარხართ, რათა მოგცეთ უნარი სიყვარულით მიაღწიოთ ისეთი პიროვნებების გულებამდეც კი, რომელთა სიყვარულიც არც ისე ადვილია: ბუზღუნა და უმადური ადამიანების გულებამდე?

რთული არ არის გიყვარდეს პიროვნება, რომელსაც თავადაც უყვარხარ. მაგრამ, ჩვენ ღმერთის ძალას უნდა მოვუხმოთ, რათა მოგვცეს უნარი გვიყვარდეს ისეთი ადამიანებიც, რომელთა სიყვარულიც ადვილი არ არის. ამას ჩვენი მეშვეობით გადმოღვრილი ღმერთის სიყვარული გააკეთებს, რადგან იგი პირობებზე არ არის დაფუძნებული. ჩვენ უსასყიდლოდ ვღებულობთ და უსასყიდლოდვე უნდა გავცემდეთ. თქვენი სიყვარული შეცვლის ადამიანებს. შესაძლოა ამას ერთი წელი დასჭირდეს, შესაძლოა, ხუთი წელი, ოცდახუთი წელიც კი, მაგრამ ეს ამად ღირს. თქვენ რამდენ ხანს გელოდებოდათ იესო? რამდენ ხანს განაგრძობდა თქვენს სიყვარულს? სიყვარული სულგრძელი, კეთილი და თავმდაბალია. იგი არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს და ყოველივეს ითმენს.

ღმერთს უყვარხართ და მას თქვენს გარშემო მყოფი თითოეული ადამიანი უყვარს. მას უყვარს ისინი, მიუხედავად იმისა, დახსნილები არიან თუ არა და მას სურს გამოგვიყენოს როგორც არხი, საიდინაც მისი სიყვარული იდინებს.

ნუ შეგეშინდებათ ნაბიჯის გადადგმის.

ღმერთის სიყვარული განთავისუფლებთ შიშისა და მსჯავრდადებისაგან და მან მოგცათ სიყვარულის უნარი. გადაწყვიტეთ, რომ ღმერთის სიყვარულს ყველგან გაავრცელებთ. შეგიძლიათ უბრალოდ ადამიანებთან მეგობრული ურთიერთობის ქონით დაიწყოთ.

უბრალო სტუმართმოყვარეობა, განსაკუთრებით ისეთი პიროვნების მიმართ, ვინც მარტოსული და სასოწარკვეთილია,სიყვარულის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს. დაპატიჟეთ ადამიანები სადილზე. უფლება მიეცით გინახულონ, ხელი ჩამოართვით მათ და გაუღიმეთ. გადაეხვიეთ მათ, როდესაც საჭიროდ მიგაჩნიათ. პრაქტიკული დახმარება გაუწიეთ მათ, მაგალითად თქვენი მანქანით წაიყვანეთ სამსახურამდე პიროვნება, რომლის ავტომობილიც სახელოსნოშია. დაეხმარეთ თქვენს ახალ თანამშრომელს. ღმერთს რაღაც საქმე აუცილებლად ექნება თქვენთვის. ადამიანები მნიშვნელოვანია ღმერთისთვის!

არიან ადამიანები, რომელთა მომსახურებაც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ. სთხოვეთ ღმერთს გაჩვენოთ მათი გულებისაკენ მიმავალი გზები და იგი გაჩვენებთ მათ.

7

ღმერთის სიყვარული შეგცვლით

„ამაშია სიყვარული,რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა და მოავლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მოსატევებლად (ცოდვების გამომსყიდველ მსხვერპლად).“

1 იოანე 4:10

ღმერთს ვუყვარვართ, მაგრამ არა მგონია ჩვენს უმრავლესობას კარგად ჰქონდეს გაცნობიერებული ეს სიყვარული. ამ თემის სწავლისას ღმერთმა დამანახა, რომ ჩვენი გულის სიღრმეში ნამდვილად რომ ვიცოდეთ თუ რა ძლიერ ვუყვარვართ მას, გაცილებით უკეთესად მოვიქცეოდით ვიდრე უმეტეს შემთხვევაში ვიქცევით.

ხშირად იფიქრეთ ღმერთის თქვენდამი სიყვარულზე. სწორედ ეს შეგცვლით თქვენ. თუ რაღაც არ მოგწონთ საკუთარ თავში, ის ცოდნა, რაც ღმერთის თქვენდამი

სიყვარულზე გაგაჩნიათ, გამოსწორებაში დაგეხმარებათ. მხოლოდ იმედგაცრუება თქვენი შეცდომების გამო, ვერაფერში დაგეხმარებათ. გახსოვდეთ, რომ ღმერთი რწმენით მოქმედებს და ჭეშმარიტ რწმენას ღმერთის სიმშვიდეში შევყავართ (ებრ. 4).

დარწმუნებული ვარ ამ წიგნის მკითხველთა უმრავლესობას კარგი ურთიერთობა არ აქვს საკუთარ თავთან. მათ არ მოსწონთ საკუთარი თავები და შესაძლოა, სძულთ კიდევაც. მე მინდა ასეთებს შეგახსენოთ, რომ თქვენ შეგიძლიათ გძულდეთ თქვენს მიერ ჩადენილი ცუდი საქმეები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გძულდეთ საკუთარი თავი. იესო თქვენთვის მოკვდა თქვენდამი თავისი უდიდესი სიყვარულის გამო და სულ მცირე, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ეს მისი ძვირფასი საჩუქრის მიღებაა.

ბიბლია ამბობს: „რადგან, როგორც ის ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი“ (იგავები 23:7). ვიდრე თუ თქვენ გამუდმებით ცუდად ფიქრობთ საკუთარ თავზე და ვერ აცნობიერებთ, თუ რა ძვირფასი ხართ, ვერ იქცევით უშიშარ და გაბედულ პიროვნებად.

ღმერთის სურვილია ყოველდღიურად გქონდეთ მასთან მოზიარეობა. ამის შედეგად თქვენ შეიცვლებით. თუ ღმერთს პირველ ადგილს არ დაუთმობთ, ამით თქვენ მას ისეთ პოზიციაზე ათავსებთ, საიდანაც იგი ვერ შეძლებს იმის გაკეთებას თქვენთვის, რისი გაკეთებაც სურს. სწორედ ღმერთთან პირადად გატარებული დრო

იწვევს თქვენს გაძლიერებას, განიჭებთ გაბედულებას და სიმწიფეში შეჰყავხართ.

მრავალი ადამიანი ათას რამეს იმიზეზებს და თავს არიდებს ღმერთთან ახლო ურთიერთობის დამყარებას. ისინი უარს არ იტყოდნენ მასთან კარგი ურთიერთობის ქონაზე, მაგრამ სანაცვლოდ არაფრის გაღება არ სურთ. ისინი არ ავითარებენ საკუთარ თავში კარგ ჩვევებს, ისეთებს როგორიცაა მაგალითად სიტყვის შესწავლა და ლოცვა.

ღმერთის სიყვარული შეგცვლით თქვენ. როდესაც განიცდით მის სიყვარულს, აღმოაჩენთ, რომ თქვენი სურვილებიც შეიცვლება. მაშინ დიდი სურვილი გექნებათ დაემსგავსოთ იესოს. ღმერთის ხასიათის ცოდნა და თქვენში განვითარება თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. პავლემ თქვა, რომ მისი მტკიცე მიზანი იყო სცოდნოდა ქრისტე და მისი აღდგომის ძალა (ფილიპ.3:10). გთხოვთ, აღნიშნოთ, თუ რა თქვა პავლემ, მან აღნიშნა, რომ იგი შეუპოვრობას საჭიროებდა.

სერიოზულად მიუდექით თქვენს ღმერთთან ურთიერთობას. იმდენად ახლოს შეგიძლიათ იყოთ ღმერთთან, რამდენადაც მოისურვებთ; ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ დროს დაუთმობთ ამ ყველაფერს.

ბიბლია ამბობს, რომ ჩვენ ღმერთის წარმომადგენლები ვართ და რომ ღმერთი ჩვენი მეშვეობით შეაგონებს

სამყაროს (2 კორინ. 5:20). ამ მუხლის წაკითხვისას, გული ყოველთვის გამალებით მიცემს და ვხვდები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დავემორჩილოთ ღმერთის სულს, როდესაც იგი ჩვენში შრომობს, გვცვლის და ღმერთის მიზნისთვის გვამზადებს. ღმერთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით (რომ. 5:5). მიიღეთ იგი და გაიხარეთ მასში, მიეცით მას უფლება შეგცვალოთ!

იცხოვრეთ ახალი ცხოვრებით

თუ არასოდეს მოგიპატიჟიათ იესო თქვენს ცხოვრებაში საკუთარ უფლად და მხსნელად, მე გთავაზობთ ახლა გააკეთოთ ეს. შეგიძლიათ ასეთი ლოცვით ილოცოთ და თუ თქვენი გული ნამდვილად ეთანხმება მას, ქრისტეში ახალ ცხოვრებას განიცდით.

„ზეციერო მამა, მწამს, რომ იესო ქრისტე შენი ძეა და იგია ქვეყნიერების მხსნელი. მწამს, რომ იგი ჩემთვის მოკვდა ჯვარზე და ყველა ჩემი ცოდვა აიტანა მასზე. მან ფასი გადაიხადა ჩემი ცოდვების გამო. მან აიღო თავის თავზე ჩემი სასჯელი. მწამს, რომ იესო მკვდრეთით აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის. მჭირდები, იესო. მაპატიე ჩემი ცოდვები, მიხსენი, შემოდი და იცხოვრე ჩემში. მინდა ხელახლა ვიშვა.“

ახლა კი გწამდეთ, რომ იესო თქვენს გულში ცხოვრობს. თქვენ ნაპატიები და განწმედილი ხართ და როდესაც იესო მოვა, ზეცაში წახვალთ.

მოძებნეთ კარგი ეკლესია, სადაც ღმერთის სიტყვა ისწავლება და დაიწყეთ ქრისტეში ზრდა. ღმერთის

სიტყვის ცოდნის გარეშე, არაფერი შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში. იოანეს სახარების 8:31,32-ში ნათქვამია:„თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ.“

გთხოვთ მომწერეთ და გამაგებინეთ თუ მიიღეთ იესო და ჩვენ უსასყიდლოდ გამოგიგზავნით ბუკლეტს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყოთ ახალი ცხოვრება ქრისტეში.

„სიტყვით ცხოვრების“ თითოეულ თანამშრომელს უყვარხართ. ვლოცულობთ, რომ ეს წიგნი მშვიდობის შესახებ კურთხევა აღმოჩნდეს თქვენთვის.

საყვარელნო, იოანეს სახარების 8:31,32-ში ნათქვამია:„თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ.“

მე მოგიწოდებთ ჩაეჭიდოთ ღმერთის სიტყვას, ჩათესოთ იგი ღრმად თქვენს გულებში და კორინთელთა მიმართ მეორე წერილის 3:18-ის თანახმად, თუ ღმერთის სიტყვაში ჩაიხედავთ იესო ქრისტეს ხატების მსგავსად გარდავისახებით.

სიყვარულით,
ჯოისი

ავტორის შესახებ

ჯოის მაიერი ერთ-ერთია მსოფლიოში ბიბლიის ცნობილ პრაქტიკულ მასწავლებელთა შორის. იგი *New York Times*-ის ყველაზე მეტად გაყიდვადი ავტორია და სამოცდაათზე მეტი შთამაგონებელი წიგნი აქვს დაწერილი, მათ შორისაა: „თავდაჯერებული ქალი“, „მოგიწოდებ, რომ სცადო“, „გონება – ბრძოლის ველი“ და მრავალი სხვა. აგრეთვე არსებობს მისი ათასობით აუდიო სწავლება, ისევე როგორც სრული ვიდეო ბიბლიოთეკა. ჯოისის ხელმძღვანელობით „დატკბი ყოველი დღით“ რადიო და სატელევიზიო პროგრამები მთელს მსოფლიოში გადაიცემა, იგი ბევრს მოგზაურობს და კონფერენციებს მართავს. ჯოისს და მის მეუღლეს დეივს ოთხი ზრდასრული შვილი ჰყავთ და სენტ ლუისში, მისურის შტატში ცხოვრობენ.

აღმოაჩინე ღმერთის საჩუქარი შენთვის: მისი უპირობო სიყვარული!

ღმერთის ძალა და სიყვარული სრულიად ხელმისაწვდომია დღეს თქვენთვის! და თქვენ არ ხართ ხალხის ბრბოდანმ ხოლოდ ერთ-ერთი. ღმერთს ისე უყვარხართ, თითქოს ერთადერთი ადამიანი ყოფილიყავით დედამიწის ზურგზე. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი ადამიანის მსგავსად, თქვენც შესაძლოა ვერ აცნობიერებთ ამ სიყვარულს... ან მხოლოდ გონებით იცით მის შესახებ, მაგრამ ვერ გრძნობთ მას თქვენს გულში. ახლა უკვე შეგიძლიათ. ამ შთაგონებით სავსე წიგნის ძლევამოსილი უწყება დაგანახებთ:

- როგორ გააცნობიეროთ თქვენში მყოფი ღმერთის სიყვარული;
- როგორ შეწყვიტოთ ფიქრი, ხართ თუ არა საკმარისად კარგი ღმერთისთვის;
- როგორ შეგიძლიათ განიცადოთ ღმერთის სიყვარულის საოცარი გამოცხადება;
- როგორ იპოვოთ ღმერთი ცხოვრების მტკივნეულ გარემოებებშიც კი;
- როგორ შეუძლია ღმერთის სიტყვას თქვენი სამუდამოდ შეცვლა.

გიზიარებთ რა საკუთარ შეხედულებასა და ხედვას, რომელმაც პირადად მისი ცხოვრება შეცვალა, ჯოის მაიერი იშველიებს მონაკვეთებს წმიდა წერილიდან და სიბრძნის სიტყვებს, რომელთაც შეუძლიათ ღმერთის სიყვარულის ფანჯრის გაღება...
დაე, მისი ნათელიპირადად გინათებდეთ თქვენ!